განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო

საქართველოს ისტორია

7

მოსწავლის რვეული

პირველი ნაწილი



ჯაბა სამუშია, გიორგი სოსიაშვილი, ლერი თავაძე

საქართველოს ისტორია 7

მოსწავლის რვეული
ნაწილი პირველი

სახელმძღვანელო შექმნილია
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
თბილისი
2026

საქართველოს ისტორია
VII კლასი, ნაწილი I
მოსწავლის რვეული

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
პირველი გამოცემა, თბილისი, 2026.

ავტორები:
ჯაბა სამუშია, გიორგი სოსიაშვილი, ლერი თავაძე

სამეცნიერო რეცენზენტი:	როინ მეტრეველი
ექსპერტ-კონსულტანტები:	დავით მალაზონია, ნიკოლოზ გურგენიძე, ნინო მიმინოშვილი, ლალი მექერიშვილი
ფსიქოლოგი-მეთოდისტი:	მზია წერეთელი
რედაქტორი:	ნათელა დვალი
ილუსტრატორი:	მარიამ ებრალიძე
დამკაბადონებელი:	თამარ სტეფნაძე
რუკების ავტორი:	მანანა შეყილაძე
რუკების დიზაინერები:	ალექსი კახნიაშვილი, რატი შოთაშვილი

სახელმძღვანელოს კომპლექტის შემადგენლობა:
მოსწავლის წიგნი;
მოსწავლის რვეული;
მასწავლებლის წიგნი.

საქართველოს
განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო

© საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
ISBN 978-9941-8-8929-5

საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოები - დროშა, გერბი და ჰიმნი





თავისუფლება

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე მთელი ქვეყანა,
განათებული მთა-ბარი,
წილნაყარია ღმერთთანა.
თავისუფლება დღეს ჩვენი
მომავალს უმღერს დიდებას,
ცისკრის ვარსკვლავი ამოდის
და ორ ზღვას შუა ბრწყინდება,
დიდება თავისუფლებას,
თავისუფლებას დიდება.

მოუსმინეთ ჰიმნს

ლექსი დავით მაღრაძისა
მუსიკა ზაქარია ფალიაშვილისა
ჰიმნად დაამუშავა იოსებ კეკელიძემ

სარჩევი

1. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა 5
2. მოგზაურობა საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეებში 7
3. ქრონოლოგია 10
4. მიწაში დამარხული ისტორია 11
5. წერილობითი წყაროები 12
6. უძველესი ადამიანის ნაკვალევი დმანისიდან 14
7. ქვის ხანა საქართველოში 16
8. ნეოლითური რევოლუცია 18
9. ხორბლისა და ღვინის უძველესი კერები საქართველოში 20
10. ადრე ბრინჯაოს ხანა საქართველოში – მტკვარ-არაქსის კულტურა 22
11. შუა ბრინჯაოს ხანა – „თრიალეთის დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურა“ 24
12. გვიანი ბრინჯაოსა და ადრე რკინის ხანა 25
13. ციკლოპური ციხე-ქალაქები 26
14. ქართველი ერის წარმოშობა, ანუ ეთნოგენეზი 27
15. კოლხური კულტურა და კოლხას სამეფო 29
16. კოლხური სამყარო და არგონავტების მითი 31
17. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები 33
18. აქემენიანთა ირანი, ძველი ბერძნული კოლონიზაცია და საქართველო 35
19. მშენებლობა ძველ საქართველოში 37
20. ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის დაშლა და დიადოხოსები 39
21. ფარნავაზი და აზო 41
22. ქართლის სამეფოს შექმნა 42
23. ფარნავაზის მიერ ქართლის სახელმწიფოებრივი მოწყობა 43
24. რა ვიცით ქართლის სამეფოს შესახებ 45
25. ქართლის სამეფო ფარნავაზ მეფის მემკვიდრეების დროს 46

1. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა

! დავალება 1

რუკისა და პარაგრაფის ტექსტის დახმარებით შეავსეთ საქართველოს „გეოგრაფიული პასპორტი“:

რომელ რეგიონში მდებარეობს საქართველო?	
მეზობელი ქვეყანა ჩრდილოეთით	
მეზობელი ქვეყანა აღმოსავლეთით	
მეზობელი ქვეყნები სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით	
რა ესაზღვრება დასავლეთით?	
ფართობი და კონტინენტები, რომელთა შორისაც მდებარეობს	
ქედი, რომელიც საქართველოს დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებად ყოფს	
კავკასიონის ორი უმნიშვნელოვანესი გადასასვლელი („კარი“)	

! დავალება 2

შეავსეთ სქემა – „საქართველოს სახელწოდებები სხვადასხვა ეპოქაში“. ჩაწერეთ ცარიელ უჯრებში შესაბამისი სახელები:


<table>
<tr><td rowspan="2">დასავლეთი საქართველო</td><td>უძველესი სახელი</td><td>→</td><td>შემდგომი სახელი</td></tr>
<tr><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td rowspan="2">აღმოსავლეთი საქართველო</td><td>უძველესი სახელი</td><td>→</td><td>შემდგომი სახელი</td></tr>
<tr><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td></td><td colspan="3">ერთიანი ქვეყნის სახელი X-XI საუკუნეების მიჯნიდან:</td></tr>
</table>

! დავალება 3

სასაზღვრო ციხის უფროსის მოხსენება: წარმოიდგინეთ, რომ ხართ XI საუკუნის დარიალის ციხის უფროსი. მეფეს უნდა გაუგზავნოთ საიდუმლო ბარათი (5-6 წინადადება).

აღუწერეთ მეფეს, რა მდგომარეობაა კავკასიონის გადასასვლელზე, ვინ გამოატარეთ ციხის კარში ბოლო დროს და რატომ გჭირდებათ დამატებითი მეომრები „კარის“ დასაცავად. მოხსენებაში გამოიყენეთ შემდეგი სიტყვები: დარიალი, ვაჭარი, ელჩი, მტერი, კავკასიონი, კარი, მეფე.

საქართველო და მეზობელი სახელმწიფოები



დავალება

1. წითელი ფანქრით გაავლეთ სახელმწიფო საზღვრები.
2. დააწერეთ სახელები შავ და კასპიის ზღვებს.
3. დააწერეთ სახელები სახელმწიფოებს.
4. დააწერეთ სახელები დედაქალაქებს.
5. გააფერადეთ საქართველო და მეზობელი სახელმწიფოები.

2. მოგზაურობა საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეებში

! დავალება 1

ქვემოთ მოცემულია საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეები. გაანაწილეთ ისინი სქემის უჯრებში მათი მდებარეობის მიხედვით.

აფხაზეთი · კახეთი · ხევი · სამცხე · გურია · შიდა ქართლი · თუშეთი · სამეგრელო · ჯავახეთი · ხევსურეთი · რაჭა · ქვემო ქართლი

დასავლეთი საქართველო	აღმოსავლეთი საქართველო
ჩრდილოეთი საქართველო	სამხრეთი საქართველო
სამხრეთ-დასავლეთი საქართველო	სამხრეთ-აღმოსავლეთი საქართველო
ჩრდილო-დასავლეთი საქართველო	ჩრდილო-აღმოსავლეთი საქართველო

! დავალება 2

მიუწერეთ თითოეულ ძეგლს/ღირსშესანიშნაობას მხარე, რომელშიც ის მდებარეობს. ბოლო სვეტში მონიშნე (✓), თუ არის ძეგლი იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შეტანილი:


ძეგლი / ღირსშესანიშნაობა	მხარე	იუნესკოს სიაში
უშგულის სვანური კოშკები		
ვარძიის სამონასტრო კომპლექსი		
ნოქალაქევი (ციხეგოჯი)		
მცხეთის ისტორიული ძეგლები		
ბაგრატის ტაძარი		
დმანისის ნაქალაქარი		
გონიოსა და პეტრა-ციხისძირის ციხეები		

! დავალება 3

სახელმძღვანელოს ტექსტზე დაყრდნობით, შეავსეთ გამოტოვებული ადგილები წინადადებებში:

1. დასავლეთი საქართველო თავდაპირველად კოლხეთად, შემდეგ კი ———————— იწოდებოდა.
2. მდინარე ———————— წარმოადგენს ბუნებრივ საზღვარს სამეგრელოსა და იმერეთს შორის.
3. ევროპის კონტინენტზე ერთ-ერთი უძველესი ჰომინინის ნაშთები აღმოჩენილია ქვემო ქართლში, ქალაქ ————————————თან.
4. სამცხესა და ჯავახეთს შიდა ქართლთან აკავშირებს პატარა პროვინცია – ————————————.

საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეები



დავალება

1. წითელი ფანქრით გაავლეთ სახელმწიფო საზღვრები.
2. წითელი ფანქრით გაავლეთ საზღვრები საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეებს შორის.
3. დააწერეთ სახელები საქართველოს მხარეებს.
4. დააწერეთ სახელები ქალაქებს: თბილისს, სოხუმს და ბათუმს.
5. გააფერადეთ საქართველოს მხარეები ფერადი რუკის მიხედვით.
6. დააწერეთ სახელი ზღვას და გააფერადე ცისფრად.

დავალება 4


„გამომიცანი, რომელი მხარე ვარ!“ – წაიკითხეთ თითოეული ბარათი და ჩაწერეთ მხარის სახელი:

„ჩემს ტერიტორიაზე აღმოაჩინეს ევრაზიის კონტინენტზე უძველესი ადამიანის ფრაგმენტები, აქვე დადასტურდა ვაზისა და ხორბლის 8000-წლიანი ისტორია“. პასუხი:	„ძველად „თაკვერის“ სახელით ვიყავი ცნობილი. ჩემს სოფელ ლაილაშში X საუკუნის უნიკალური ებრაულენოვანი ბიბლია აღმოაჩინეს“. პასუხი:
„თავდაპირველად მდინარეების – ივრისა და ალაზნის ზემო წელი მქონდა, შემდეგ კი მეზობელი მხარეები, კუხეთი და ჰერეთი, შემოვიერთე“. პასუხი:	„VIII საუკუნიდან XI საუკუნის ჩათვლით ჩემი სახელი მთელ დასავლეთ საქართველოს ერქვა აქ ჩამოყალიბებული სამეფოს გამო. დღეს ჩემი ტერიტორია ოკუპირებულია რუსეთის მიერ“. პასუხი:

I თავის შეჯამება – შეამოწმე შენი ცოდნა!

შეჯამება

გაიხსენეთ შესწავლილი მასალის ძირითადი საკითხები და შეავსეთ კროსვორდი:



1. მხარე სამხრეთ საქართველოში, ისტორიული მესხეთის ნაწილი; 2. ეს მხარე საქართველოს უკიდურეს ჩრდილო დასავლეთ ნაწილში მდებარეობს და დღეს რუსეთის მიერაა ოკუპირებული; 3. აღმოსავლეთ საქართველოს ეს მხარე შიდა და ქვემო ნაწილებად იყოფა; 4. რა ჰქვია დასავლეთ საქართველოს იმ მაღალმთიან მხარეს, რომლის კოშკებიც იუნესკოს მემკვიდრეობის ნაწილია; 5. ქუთაისი ამ მხარის მთავარი ქალაქია; 6. საქართველოს უკიდურესი აღმოსავლეთი რეგიონია; 7. ეს მხარე კავკასიონის ჩრდილოეთ და სამხრეთ ფერდობებზე მდებარეობს; 8. ამ მხარეში მდინარე არაგვიდან ჯვრის უღელტეხილით გადავდივართ; 9. ამ მხარეში კლდეკარის ცნობილი ციხე მდებარეობს; 10. ეს მხარე ძველად ოდიშად იწოდებოდა, ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად დანართი 2-ის რუკა დაგეხმარებათ.

3. ქრონოლოგია

! დავალება 1

განათავსეთ მოვლენები დროის ხაზზე. ქვემოთ მოცემული ოთხი მოვლენა ჩაწერეთ დროის ხაზის უჯრებში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით – უძველესიდან უახლესისკენ:

1. ისლამური ერის დასაწყისი – ჰიჯრა (622 წ.)
2. რკინის ხანის დასაწყისი (ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისი)
3. „იანვრის წელიწადის“ შემოღება საქართველოში (X ს.)
4. ბუდას გარდაცვალება (ძვ. წ. 544-543 წწ.)

ძვ. წ. ◄═══ ქრისტეს შობა ═══► ახ. წ.

! დავალება 2

დააკავშირეთ ეპოქა მის მთავარ მახასიათებელთან – ცხრილის ბოლო სტრიქონში თითოეულ ციფრს მიუწერეთ შესაბამისი ასო:

ეპოქა	მთავარი მახასიათებელი
1. წინარეისტორიული ხანა	ა) ადამიანები იარაღს ამზადებენ სპილენძისა და ქვისგან – სახელიც ამ ორი მასალის აღმნიშვნელი სიტყვების გაერთიანებით წარმოიშვა.
2. ენეოლითი	ბ) საბერძნეთისა და რომის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული დომინანტობის ეპოქა.
3. რკინის ხანა	გ) პერიოდი, როცა დამწერლობა ჯერ არ იყო გამოგონებული.
4. ანტიკური ეპოქა	დ) ეს პერიოდი იწყება რომის იმპერიის დაცემის შემდეგ და XVI-XVIII საუკუნეებამდე გრძელდება.
5. შუა საუკუნეები	ე) იწყება ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან, ვითარდება მეტალურგია.
პასუხები: 1 – ___ 2 – ___ 3 – ___ 4 – ___ 5 – ___	

! დავალება 3


შეავსეთ ცხრილი. გაიხსენეთ თვეების ძველი ქართული სახელწოდებები და მიუთითეთ, რას უკავშირდებოდა თითოეული: სამეურნეო საქმიანობას/ბუნებრივ მოვლენას თუ რელიგიურ დღესასწაულს:

თვე	ძველი ქართული სახელწოდება	რას უკავშირდებოდა
ივლისი		
აგვისტო		
ოქტომბერი		
ნოემბერი		
დეკემბერი		

4. მიწაში დამარხული ისტორია

! დავალება 1

შეავსეთ გონებრივი რუკა – პარაგრაფის ტექსტის დახმარებით უჯრებში ჩაწერეთ მეცნიერების დარგები და ტექნოლოგიები, რომლებსაც იყენებენ თანამედროვე არქეოლოგები. ასევე, მიუთითეთ, რის დადგენაში გვეხმარება ეს დარგები (მაგ., წარმომავლობის, ბუნების, ეპოქის...):



! დავალება 2

ინგა მარტყოფლიშვილის კვლევის მიხედვით შეავსეთ ცხრილი – როგორ შეიცვალა ადამიანის ყოფა პალეოლითიდან ნეოლითამდე:

	პალეოლითი (ძველი ქვის ხანა)	ნეოლითი (ახალი ქვის ხანა)
რას მიირთმევდა ადამიანი?		
მეურნეობის რომელი დარგები ვითარდება?		
რამდენი სამკურნალო მცენარე იყო ცნობილი?		

! დავალება 3

ჭეშმარიტია თუ მცდარი? პირველ სვეტში ჩაწერეთ თუ ჭეშმარიტია წინადადება – ✓; ხოლო თუ მცდარია – X. მცდარი მსჯელობა ბოლო სვეტში გაასწორეთ – ჩაწერეთ, როგორ იქნებოდა სწორად:

ჭ/მ	მსჯელობა	გასწორება
	არქეოლოგია მხოლოდ იმ ეპოქებს სწავლობს, რომელთა შესახებაც წერილობითი წყაროები არსებობს.	
	მონეტები ხშირად გვხვდება უძველეს სამარხებში.	
	ძუძუანას მღვიმეში აღმოჩენილია ქერისგან დამზადებული უძველესი ძაფის ნაშთები.	
	ყორღანი უძველესი დროის მეფეთა სასახლეებია.	
	ნამარხი ძვლიდან აღებული დნმ-ით შესაძლებელია ძველად მცხოვრები ადამიანის წარმომავლობისა და ნათესაური კავშირების დადგენა.	

5. წერილობითი წყაროები

დავალება 1

გაანაწილეთ წყაროები ჯგუფებში. ქვემოთ მოცემულია რვა კონკრეტული წყარო – ჩაწერეთ თითოეული შესაბამის უჯრაში:

ბოლნისის სიონის წარწერა;
მეფის მიერ გაცემული სიგელი
„ქართლის ცხოვრება“
„წამებაი წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაი“
დავათის სტელა
„მოქცევაი ქართლისაი“
არმაზის ბილინგვა

ეპიგრაფიკული წყაროები	ისტორიული დოკუმენტები
საისტორიო თხზულებები	მხატვრული ნაწარმოებები

დავალება 2

შეავსეთ ცხრილი – შეადარეთ ორი უმნიშვნელოვანესი საისტორიო თხზულება:

	„მოქცევაი ქართლისაი“	„ქართლის ცხოვრება“
რომელ საუკუნეში დაიწერა?		
რომელი პერიოდის ისტორიას გადმოგვცემს?		
ვინ არის ავტორი (ან რომელ ავტორს უკავშირებენ)?		

დავალება 3

წარმოიდგინეთ, რომ თქვენი ოჯახის ან სკოლის ისტორიის შესწავლა გსურთ. რომელი წერილობითი წყაროები გამოგადგებოდათ ამისთვის? დაასახელეთ სამი სხვადასხვა სახის წყარო (მაგალითად, დოკუმენტი, წერილი, წარწერა...) და ახსენით, რა ინფორმაციას მოგცემდათ თითოეული მათგანი.

დავალება 4

იმუშავეთ წყაროზე. წაიკითხეთ თრეხვის მიდამოებში აღმოჩენილი წარწერა მოსწავლის წიგნის გვ. 35 და უპასუხეთ კითხვებს ცხრილში:

ა) ვინ არის წარწერის ავტორი და რა ტიტული ან თანამდებობა ჰქონდა მას?	
ბ) რის დადგენაში დაეხმარა ეს აღმოჩენა ისტორიკოსებს? რატომ არის ის მნიშვნელოვანი „ქართლის ცხოვრების“ შესწავლისთვის?	

დავალება 5


„ქართლის ცხოვრების“ კრებულში შემავალ თხზულებებს მიაწერეთ ავტორები:

1. „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ ——————————
2. „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ ——————————
3. „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“ ——————————

II თავის შეჯამება – შეამოწმე შენი ცოდნა!

შეჯამება

შეავსე კროსვორდი და გაიხსენე შესწავლილი მასალის ძირითადი საკითხები



1. მეცნიერება რომელიც ქვაზე, ლითონზე, ხესა და სხვა მყარ მასალაზე გაკეთებული წარწერებს შეისწავლის;
2. საქართველოში ოქტომბრის თვეს ძველად ასე ეძახდნენ;
3. არმაზში აღმოჩენილია სამარხი ქართველი დიდებული ქალისა, რომელსაც ერქვა ... ;
4. ეს მეცნიერება ბერძნულად სიძველეთმცოდნეობას ნიშნავს და წარსულს ნივთიერი მასალით იკვლევს;
5. ქართული მონასტერი, სადაც გადაიწერა „მოქცევაი ქართლისაი“;
6. ისლამური წელთაღრიცხვის დასაწყისი;
7. უძველესი დროის გორასამარხი.

6. უძველესი ადამიანის ნაკვალევი დმანისიდან

! დავალება 1

შეავსეთ ცხრილი – მიუწერეთ თითოეულ თარიღს, რა აღმოაჩინეს დმანისში ამ დროს:

წელი	რა აღმოაჩინეს
1960 წლიდან	
1982	
1991	
1999	

! დავალება 2

შეადგინეთ დმანისელი ჰომინინის „პორტრეტი“. ტექსტიდან ამოკრიბეთ მონაცემები და შეავსეთ ცხრილი:

დმანისში აღმოჩენილი ჰომინინის სახელწოდება	
აღმოჩენილი ქვედა ყბის ასაკი	
დმანისელი ჰომინინის საშუალო სიმაღლე	
დმანისელი ჰომინინის ტვინის მოცულობა დღევანდელ ადამიანთან შედარებით	
რა შეეძლო დაემზადებინა და გამოეყენებინა დმანისელ ჰომინინს?	
რომელი კონტინენტიდან მოვიდნენ დმანისელი ჰომინინების წინაპრები და რომელი გზით?	

! დავალება 3

უძველესი ადამიანების გაერთიანებას „პირველყოფილ ადამიანთა ჯოგი“ ეწოდება. ტექსტის მიხედვით ჩაწერეთ ოთხ უჯრაში ამ ჯოგის ოთხი მთავარი ნიშანი (მაგ., წევრების რაოდენობა, საქმიანობა, ქონების განაწილება, ცხოვრების წესი):


1.	2.
3.	4.

! დავალება 4

საქართველოს ხშირად უწოდებენ „პირველი ევროპელის სამშობლოს“. რატომ არის დმანისის აღმოჩენა მნიშვნელოვანი არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი მსოფლიოს ისტორიისთვის. რას გვეუბნება ის ადამიანის აფრიკიდან სხვა კონტინენტებზე მიგრაციის შესახებ?

_____

_____


უძველესი ადამიანის განსახლების ძირითადი მიმართულებები
ჩ
ჩდ
ჩა
დ
ა
სდ
სა
ს
დავალება
1. გააფერადეთ აფრიკა, უძველესი ადამიანის სამშობლო.
2. გააფერადეთ წითლად ისრები რომელიც უძველესი ადამიანის განსახლების მიმართულებას მიუთითებს.
3. შავად გააფერადეთ სამკუთხედი რომელიც აღნიშნავს საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი ადამიანის ნაშთების აღმოჩენის ადგილს.
4. გააფერადეთ ვარდისფრად საქართველოს ტერიტორია.

7. ქვის ხანა საქართველოში

! დავალება 1

შეავსეთ სქემა – როგორ იყოფა ქვის ხანა. ჩაწერეთ ცარიელ უჯრებში პერიოდების სახელები (იქვე ფრჩხილებში მიუთითეთ მათი ქართული შესატყვისი):

ქვის ხანა საქართველოში – იწყება ———————— წლის წინ

1.	2.	3.

პალეოლითი (ძველი ქვის ხანა), თავის მხრივ, სამ პერიოდად იყოფა, ჩაწერეთ მათი სახელები:

! დავალება 2

შეავსეთ ცხრილი – რა შეიცვალა ზედა პალეოლითიდან მეზოლითამდე:


	ზედა პალეოლითი	**მეზოლითი**
კლიმატი		
სად ცხოვრობდა ადამიანი (საცხოვრებელი ადგილები)?		
რომელი ახალი იარაღი ჩნდება?		
როგორ განვითარდა ადამიანი?		

! დავალება 3

წაიკითხეთ აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას ტექსტის ფრაგმენტი (გვ. 44) და უპასუხეთ კითხვებს:

ა) თქვენი სიტყვებით ახსენით, რას ნიშნავს ტოტემიზმი?	
ბ) წყაროს მიხედვით, რომელ ცხოველს სცემდნენ თაყვანს სვანეთში და როგორ აისახა ეს სვანურ დროშაზე?	
გ) წყაროში ნახსენებია ხის კულტიც. რას გვეუბნება ეს ბუნების მიმართ პირველყოფილი ადამიანის დამოკიდებულებაზე?	

ძველი და შუა ქვის ხანის ძეგლები საქართველოს ტერიტორიაზე



დავალება

1. წითელი ფანქრით გაავლეთ საქართველოს თანამედროვე საზღვარი.
2. გააფერადეთ (შავად) ქვედა პალეოლითის სადგომები და ჩაწერეთ სახელები.
3. გააფერადეთ (წითლად) ზედა პალეოლითის სადგომები და ჩაწერეთ სახელები.
4. გააფერადეთ (მწვანედ) მეზოლითის სადგომები და ჩაწერეთ სახელები.
5. ცისფერი ფანქრით შემოხაზეთ ზედაპალეოლითური გამყინვარების საზღვარი.
6. დააწერეთ სახელები მდინარეებს: მტკვარს, იორს, ალაზანს, ქციას, ალგეთს, ყვირილას, რიონს, ცხენისწყალს, ენგურს, კოდორს და ქვაბლიანს.
7. დააწერეთ შავ ზღვას სახელი და გააფერადეთ ცისფრად.

8. ნეოლითური რევოლუცია

! დავალება 1

დაასრულეთ მიზეზშედეგობრივი ჯაჭვი – რატომ ეწოდება ნეოლითის ეპოქას „რევოლუცია“?

ადამიანმა შენიშნა: მიწაში ჩაგდებული თესლი ნაყოფს იძლევა, მოვლილი ნათესი კი – ორმაგ მოსავალს

↓

რა ახალი საქმიანობა ჩნდება ადამიანის ცხოვრებაში?

↓

შედეგი 1: როგორ შეიცვალა ადამიანის ცხოვრების წესი (სად ცხოვრობს)?	შედეგი 2: როგორ შეიცვალა სამეურნეო იარაღები და საცხოვრებელი ტერიტორიები?

! დავალება 2

შეავსეთ ცხრილით – ნეოლითის ხანის იარაღები. მიუთითეთ, რისგან მზადდებოდა თითოეული და რისთვის იყენებდნენ:


იარაღი	**რისგან მზადდებოდა?**	**რისთვის იყენებდნენ?**
თოხი		
ნამგალი		
კავი		
ხელსაფქვავი, ფილთაქვა		
ქვის დანა		

! დავალება 3

წაიკითხეთ აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის ტექსტი (მოსწავლის წიგნი, გვ. 48) და უპასუხეთ კითხვებს:

ა) რომელი ნიშნების გამო ფიქრობენ მეცნიერები, რომ ირმის რქა სახვნელი იარაღი იყო? დაასახელეთ ორი მინიშნება.	
ბ) წყაროს მიხედვით, დაალაგეთ მიწის დამუშავების ეტაპები სწორი თანმიმდევრობით და თითოეულს მიუწერეთ, რა იარაღს იყენებდნენ?	
გ) რატომ იყო საჭირო სხვადასხვა იარაღის გამოყენება მიწის დამუშავების სხვადასხვა ეტაპზე?	

ნეოლითის და ენეოლითის ხანის ძეგლები



დავალება

1. წითელი ფანქრით გაავლეთ საქართველოს თანამედროვე საზღვარი.
2. გააფერადეთ (ყვითლად) ნეოლითის სადგომები და ჩაწერე სახელები.
3. გააფერადეთ (ყავისფრად) ენეოლითის სადგომები და ჩაწერე სახელები.
4. დააწერეთ სახელები მდინარეებს: მტკვარს, იორს, ალაზანს, არაგვს, ქციას, ალგეთს, რიონს და სუფსას.
5. დააწერეთ შავ ზღვას სახელი და გააფერადეთ ცისფრად.

9. ხორბლისა და ღვინის უძველესი კერები საქართველოში

! დავალება 1

შეადგინეთ „მტკიცებულებათა საქმე“. ცხრილში ჩაწერეთ, სად აღმოაჩინეს და რას ამტკიცებს ეს აღმოჩენა:

აღმოჩენა	სად აღმოაჩინეს?	რას ამტკიცებს?
ხორბლის რვა სახეობა – ველური და კულტურული ჯიშები		
ძვ. წ. VI ათასწლეულის ვაზის წიპწები		
თიხის დიდი საღვინე ჭურჭელი ვაზის კულტურული სახეობებით		
კლდეში ნაკვეთი საწნახლები		

! დავალება 2

„ციფრები ლაპარაკობენ“. ტექსტიდან ამოკრიბეთ რიცხვები და ჩაწერეთ უჯრებში – შემდეგ ერთი წინადადებით ახსენით, რას ნიშნავს თითოეული:

ხორბლის სახეობა მსოფლიოში / საქართველოში / აქედან ენდემური:	ვაზის ჯიშები საქართველოში:
ქართული ღვინის წარმოების ისტორია (თარიღი):	კახეთში ნაპოვნი ბრინჯაოს ვაზის სასხლავის ასაკი:

! დავალება 3

ძვ. წ. V საუკუნეში ქართულ ტომებში არსებულ ღვინის კულტურაზე მოგვითხრობს ძველი ბერძენი მეომარი და მემატიანე ქსენოფონტი (მოსწავლის წიგნი, გვ. 53), უპასუხეთ კითხვებს:

ა) ვინ არის წყაროს ავტორი და რატომ არის მისი ცნობა განსაკუთრებით სანდო?	
ბ) რას გვეუბნება წყარო ღვინის რაოდენობასა და შენახვის წესზე ქართულ ტომებში?	
გ) რატომ არის ეს წერილობითი ცნობა მნიშვნელოვანი არქეოლოგიური აღმოჩენების გვერდით?	


დავალება 4

დაწერეთ ხორბლისა და ღვინის გაჩენის მოკლე ისტორია საქართველოში. მასში წარმოაჩინეთ აღმოჩენის ადგილები და თარიღი, თუ როდის დაიწყო ხორბლის მოყვანა და ვაზის მოშენება საქართველოში:

III თავის შეჯამება – შეამოწმე შენი ცოდნა!

შეჯამება

შეავსე კროსვორდი და გაიხსენე შესწავლილი მასალის ძირითადი საკითხები



შვეულად

1. აქ ევროპაში ერთ-ერთი უძველესი ჰომინინის ნაშთები აღმოაჩინეს:

თარაზულად

2. შუა ქვის ხანა ანუ ... ;
3. უძველეს ქვის ხანას ეწოდება ... ;
4. შუა ქვის ხანის მომდევნო პერიოდს ეწოდება ... ;
5. მეორენაირად მას სპილენძ-ქვის ხანას უწოდებენ;
6. გონიერი ადამიანი, ანუ ჰომო .... ;
7. ამ სოფლის მახლობლად „გადაჭრილი გორა“ მდებარეობს, სადაც ღვინის უძველესი ნაშთები აღმოაჩინეს.

10. ადრე ბრინჯაოს ხანა საქართველოში – მტკვარ-არაქსის კულტურა

დავალება 1

შეავსეთ ცხრილი – რატომ ჩაანაცვლა ბრინჯაომ სპილენძი:

	სპილენძი	ბრინჯაო
ბუნებაში თვითნაბადი სახით არსებობს თუ არა		
რისგან მიიღება?		
დნობის ტემპერატურა		
რამდენად მტკიცეა იარაღი?		
დასკვნა: ბრინჯაოს იარაღმა შრომის ნაყოფიერება ––––––––––––––––, ხოლო მოსახლეობის საბრძოლო პოტენციალი ––––––––––––––––.		

დავალება 2

რით ხასიათდება მტკვარ-არაქსის კულტურა? ცხრილის თითოეულ უჯრაში ჩაწერეთ ორი კონკრეტული ფაქტი ტექსტიდან:

არქიტექტურა და სამშენებლო მასალა	მეთუნეობა და კერამიკა
ხელოსნობა და საერთაშორისო ვაჭრობა (რა შემოჰქონდათ / რა გაჰქონდათ)	მეურნეობა და დასახლების ადგილები

დავალება 3

წაიკითხეთ პროფესორ ტარიელ ჩუბინიშვილის ტექსტი (მოსწავლის წიგნი, გვ. 59) და უპასუხეთ კითხვებს:

ა) რის საფუძველზე ამტკიცებს მკვლევარი, რომ ესა თუ ის ტერიტორია მტკვარ-არაქსის კულტურის არეალში შედის?	
ბ) ტექსტის მიხედვით შეადგინეთ კულტურის გავრცელების სია – ჩამოთვალეთ ყველა ის რეგიონი/ტერიტორია, რომელსაც ავტორი ასახელებს.	
გ) იმსჯელეთ: რატომ ვრცელდებოდა ეს კულტურა ასე შორს? დაასახელეთ ორი მიზეზი (გაითვალისწინეთ მეტალურგიისა და საომარი იარაღის განვითარება).	

მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლები საქართველოს ტერიტორიაზე



დავალება

1. წითელი ფანქრით გაავლეთ საქართველოს თანამედროვე საზღვარი.
2. გააფერადეთ (შავად) მტკვარ-არაქსის სადგომები და ჩაწერეთ სახელები.
3. დააწერეთ სახელები მდინარეებს: მტკვარს, იორს, ალაზანს, არაგვს, ქციას, ალგეთს, რიონს და სუფსას.
4. დააწერეთ შავ ზღვას სახელი და გააფერადეთ ცისფრად.

11. შუა ბრინჯაოს ხანა – „თრიალეთის დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურა“

! დავალება 1

შეავსეთ შედარებითი ცხრილი – რა შეიცვალა მტკვარ-არაქსის კულტურის ეპოქიდან შუა ბრინჯაოს ხანამდე:

	მტკვარ-არაქსის კულტურა	**„თრიალეთის კულტურა“**
იყო თუ არა მოსახლეობა ქონებრივად დაყოფილი?		
როგორი სამარხები გვხვდება?		
როგორი ტიპის მმართველი ანუ ხელისუფალი ჩნდება?		
ხელოსნობის რომელი დარგი დაწინაურდა განსაკუთრებით?		

! დავალება 2

შეავსეთ სქემა „მტკიცებულება → დასკვნა“. ჩაწერეთ მარცხენა უჯრებში ყორღანების სამი ნიშანი, მარჯვნივ კი – რას გვეუბნება თითოეული ნიშანი იმდროინდელ საზოგადოებაზე:

ყორღანის ნიშანი (მტკიცებულება)		**რას ამტკიცებს (დასკვნა)**
1.	→	
2.	→	
3.	→	

! დავალება 3

იმუშავეთ წყაროზე. წაიკითხეთ აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის ტექსტი (მოსწავლის წიგნი, გვ. 62) და უპასუხეთ კითხვებს:

ა) რომელი სამშენებლო მასალები დაასახელა ავტორმა? ჩამოთვალეთ ისინი და მიუწერეთ, დარბაზის რომელ ნაწილში გამოიყენებოდა თითოეული.	
ბ) ხის გადახურვა დღემდე არ შემორჩენილა. მაშინ როგორ გაიგეს მეცნიერებმა, რომ დარბაზს ხის სახურავი ჰქონდა?	
გ) რას გვეუბნება ის ფაქტი, რომ 175 მ^2 ფართობის დარბაზი მხოლოდ ერთი ადამიანის დასაკრძალავად აშენდა?	

12. გვიანი ბრინჯაოსა და ადრე რკინის ხანა

! დავალება 1

შეავსეთ ცხრილი – გვიანი ბრინჯაოს ხანის ორი კულტურული კერა საქართველოში:

	დასავლეთი საქართველო	**აღმოსავლეთი საქართველო**
კულტურული კერის სახელწოდება		
სად იყო გავრცელებული საომარი იარაღი		
იარაღი, რომელსაც სარიტუალო დანიშნულებაც ჰქონდა		
რა არის საერთო ორივე კერისთვის?		

! დავალება 2

შეავსეთ სქემა – რკინის წარმოების ეტაპები. ჩაწერეთ უჯრებში, რას აკეთებდა ადამიანი თითოეულ საფეხურზე:

1. მადნის მოპოვება და ქურაში ჩაყრა	→	**2. რა ხდება ქურაში მაღალ ტემპერატურაზე?**	→	**3. რას აკეთებდნენ მიღებული ზოდისგან?**

სახელმძღვანელოში მოცემულ სურათზე (გვ. 67) ნაჩვენები სამუშაოების მიხედვით იმსჯელეთ: რატომ მოითხოვდა რკინის წარმოება სხვადასხვა უნარის მქონე ადამიანების თანამშრომლობას?

_____

_____

_____

! დავალება 3

წაიკითხეთ არქეოლოგ გერმანე გობეჯიშვილის ტექსტი (მოსწავლის წიგნი გვ. 66) და უპასუხეთ კითხვებს:

ა) ავტორის მიხედვით, საქმიანობის რომელ სფეროებში ითამაშა ცხენმა მნიშვნელოვანი როლი? ჩამოთვალეთ ისინი.	
ბ) როგორ გესმით გამოთქმა, „ცხენმა გააცხოველა ურთიერთობა შორეულ მხარეთა შორის“? ახსენით საკუთარი სიტყვებით.	
გ) ჩამოთვალეთ ის არქეოლოგიური ძეგლები და აღმოჩენები, რომლებიც მეცხენეობის განვითარებას მოწმობს გვიანი ბრინჯაოს ხანის საქართველოში.	

13. ციკლოპური ციხე-ქალაქები

! დავალება 1

ქვემოთ მოცემულია კედლის მშენებლობის ორი მეთოდი. თითოეული ჩაწერეთ ცხრილის შესაბამის ნაწილში: მარცხნივ – მხოლოდ მშრალი წყობისთვის, მარჯვნივ – მხოლოდ დუღაბით მშენებლობისთვის, ხოლო შუა ნაწილში – ორივესთვის საერთო ნიშნები.

ქვები ერთმანეთს კირის ხსნარით არ ეკვრის · ქვებს კირის დუღაბი აკავშირებს · კედელი ქვების საკუთარი სიმძიმით მაგრდება · თავდაცვითი დანიშნულების ქვის კედელია · ადვილად ინგრევა ქვის სასროლი მანქანებით · უფრო მტკიცე და გამძლე კედელი · საქართველოს ტერიტორიაზე გამოიყენებოდა · დამახასიათებელია მეგალითური („ციკლოპური“) ეპოქისთვის

მშრალი წყობა	საერთო	დუღაბით მშენებლობა

! დავალება 2

შეავსეთ T-დიაგრამა. ტექსტის მიხედვით შეადარეთ ციხე-ქალაქის ორი ნაწილი – მიუთითეთ, ვინ ცხოვრობდა თითოეულში, რა ობიექტები იყო განთავსებული და რა ფუნქცია ჰქონდა:

ციტადელი (დედაციხე)	ქალაქის ქვედა ნაწილი
(ვინ ცხოვრობდა? რა ფუნქცია ჰქონდა?)	(ვინ ცხოვრობდა? რა ობიექტები იყო?)

! დავალება 3

წაიკითხეთ არქეოლოგ დიმიტრი ნარიმანიშვილის ტექსტი აბულის ციხე-ქალაქის შესახებ (მოსწავლის წიგნი, გვ. 68) და უპასუხეთ კითხვებს:

ა) ტექსტიდან ამოკრიბეთ რიცხობრივი მონაცემები: ციხე-ქალაქის ფართობი, ციტადელის ფართობი, კედლის სიმაღლე, სიგანე საძირკველთან და ზევით, შესასვლელების რაოდენობა.	
ბ) რას გვიჩვენებს აბულის ციხე-ქალაქის მასშტაბი და აგების სირთულე იმ ეპოქის საზოგადოების განვითარებასა და საჭიროებებზე?	
გ) რატომ ფიქრობთ, რომ მშენებლებმა თავდაცვით კედელში/კედელთან სათავსოები გამართეს? რა ორმაგ დანიშნულებას ემსახურებოდა ეს გადაწყვეტა?	

14. ქართველი ერის წარმოშობა, ანუ ეთნოგენეზი

! დავალება 1

ცნება „ერი“ ხასიათდება ქვემოთ მოცემული საერთო ნიშნებით. თითოეულ ნიშანს მიუწერეთ ერთი კონკრეტული მაგალითი ქართველი ერის ცხოვრებიდან (მაგ., ნიშანთან „ენა“ – ქართული ენა და ქართული ანბანი) თანამედროვე ცხოვრებისეული გამოცდილების მიხედვით:

ენა მაგალითი:	საერთო ისტორია (წარსული) მაგალითი:	კულტურა მაგალითი:
	ე რ ი	
ტრადიციები მაგალითი:	ეკონომიკა მაგალითი:	ეროვნული შეგნება მაგალითი:

! დავალება 2

ცხრილში მოცემულია ქართველი ერის ჩამოყალიბების (ეთნოგენეზის) მოვლენები. ტექსტის მიხედვით მარჯვენა სვეტში ჩაწერეთ, ძვ. წ. რომელ ათასწლეულში მოხდა თითოეული:

მოვლენა	**ძვ. წ. ათასწლეული**
საერთოქართული (წინარექართული) ენის მქონე დიდი ეთნიკური ერთობა ჩამოყალიბდა (მტკვარ-არაქსის კულტურის დროს)	
საერთოქართულ ერთობას პირველად გამოეყვნენ სვანები	
ერთობა გაიყო ორ ნაწილად – ქართულ და მეგრულ-ჭანურ ერთობებად	
საერთოქართველთა ერთობა უკვე სამ მონათესავე ტომობრივ გაერთიანებად იყო დაყოფილი	

ქართველურ ენათა ჯგუფში სამი მონათესავე ენა შედის. ჩამოწერეთ ისინი:

_____ , _____ , _____

! დავალება 3

ძველ საქართველოში გავრცელებული შეხედულების მიხედვით, რომელიც მოთხრობილია ლეონტი მროველის თხზულებაში, ქართველები რომელი რეგიონის მოსახლეობის ნათესავები იყვნენ? ჩამოწერეთ ყველა ის ხალხი, რომელსაც ერთი წინაპარი ჰყავდა:

_____

_____


! დავალება 4

საქართველოს სხვადასხვა კუთხე (სვანეთი, სამეგრელო, კახეთი, გურია და ა.შ.) გამორჩეულია თავისი უნიკალური ხალხური ტრადიციებით, დიალექტებითა თუ ქართველური ენებით. დაწერეთ: როგორ ამდიდრებს ეს მრავალფეროვნება ერთიან ქართულ კულტურას და რა არის ის მთავარი ფასეულობები (ისტორია, სახელმწიფო, სალიტერატურო ენა), რაც საქართველოს ყველა კუთხის მცხოვრებს აერთიანებს?

IV თავის შეჯამება – შეამოწმე შენი ცოდნა!

! შეჯამება

შეავსე კროსვორდი და გაიხსენე შესწავლილი მასალის ძირითადი საკითხები



შვეულად

1. შუა ბრინჯაოს ეპოქის სამარხს ეწოდება ... ;

თარაზულად

2. დამუშავებული რკინა, ანუ ... ;
3. შუა ბრინჯაოს ხანის ერთ-ერთი პირველი ყორღანი აქ აღმოჩნდა;
4. ქვებისა და ლოდების შემაერთებელ კირის ხსნარს ეწოდება ... ;
5. რა ეწოდება ჯავახეთში მდებარე სოფელს, სადაც საქართველოში ყველაზე კარგად შემონახული ციკლოპური (მეგალითური) ნამოსახლარია;
6. რა ეწოდება სპილენძისა და კალის შერევის შედეგად მიღებულ ლითონს, რომელსაც მტკვარ-არაქსის კულტურის ეპოქაში იყენებდნენ;
7. ასე ეწოდება იმ მოქმედებათა ერთობლიობას, რომელიც შუა ბრინჯაოს ხანის ვერცხლის თასზეა გამოსახული.

15. კოლხური კულტურა და კოლხას სამეფო

დავალება 1

შეავსეთ ცხრილი – რა ახასიათებდა კოლხურ კულტურას. თითოეულ უჯრაში ჩაწერეთ ტექსტიდან მოძიებული ინფორმაცია:

კოლხური ცული (რა სამი ფუნქცია ჰქონდა?)	კერამიკა და არქიტექტურა (რას ნიშნავს „ჯარგვალი“?)
მეტალურგია (რომელ ლითონებით იყო მდიდარი კოლხა? რომლის დამუშავება იყო ტექნოლოგიური განვითარების მაჩვენებელი?	გავრცელების არეალი (რომელ ტერიტორიებზე ვრცელდებოდა? როგორ ვადგენთ კულტურის საზღვრებს?)


დავალება 2

წაიკითხეთ ურარტუს მეფე სარდურ II-ის წარწერის ფრაგმენტი (ძვ. წ. 740-იანი წლები) (მოსწავლის წიგნი გვ. 80) და უპასუხეთ კითხვებს:

ა) რომელი სამეფოს წინააღმდეგ ლაშქრობს სარდურ II და რა მიზეზები განაპირობებს ამ ლაშქრობას?	
ბ) წარწერის მიხედვით, რომელი გეოგრაფიული პუნქტებია დასახელებული? ჩამოწერეთ მათი სახელები.	
გ) აღწერე ის სიმდიდრე, რაც წარწერის მიხედვით ჰქონდა კოლხას სამეფოს?	

დავალება 3

ჩამოწერეთ ის ლითონები, რომლითაც მდიდარი იყო კოლხას სამეფო და რას ამზადებდნენ მათგან?


კოლხური კულტურის გავრცელება
ჩ
ჩდ
ჩა
დ
ა
სდ
სა
ს
დავალება
1. წითელი ფანქრით გაავლეთ გვიანი ბრინჯაოს ხანის კულტურების გავრცელების საზღვარი.
2. გააფერადეთ (წითლად) კოლხური ცულების აღმოჩენის ძირითადი კერები და მიუწერე სახელები.
3. გააფერადეთ მწვანედ კოლხური კულტურის გავრცელების არეალი.
4. გააფერადეთ გვიანი ბრინჯაოს კულტურის დანარჩენი არეალები რომლებიც რუკაზეა წარმოდგენილი.
5. დააწერეთ სახელები მდინარეებს.
6. დააწერეთ სახელი ზღვას და გააფერადე ცისფრად.
7. შექმენით პირობითი ნიშნების ბლოკი და შეავსე შენი რუკის შესაბამისად.

16. კოლხური სამყარო და არგონავტების მითი

დავალება 1

შეავსეთ T-დიაგრამა. ქვემოთ მოცემულია არგონავტების მითის ელემენტები. თითოეული ჩაწერეთ შესაბამის სვეტში – ფანტასტიკური (გამონაგონი) თუ რეალური (ისტორიული სინამდვილის ამსახველი):

ცეცხლისმფრქვეველი, სპილენძისჩლიქებიანი ხარები · ხარებითა და გუთნით მიწის დამუშავება · დათესილი დრაკონის კბილებიდან ამოსული დევგმირები · ზღვით მოგზაურობა სრუტეების გავლით · ჯადოქარი მედეას შველა · კოლხთა სამეფო და მისი მმართველი აიეტი

ფანტასტიკური ელემენტი	რეალური (ისტორიული) ელემენტი

დავალება 2


შეავსეთ ცხრილი – ორი ბერძენი ავტორი, რომლებიც არგონავტების მითს გადმოგვცემენ:

	ჰომეროსი	**აპოლონიოს როდოსელი**
რომელ საუკუნეში ცხოვრობდა (ძვ. წ.)		
თხზულების სახელი		
რამდენად ვრცლად აღწერს არგონავტების ლაშქრობას (მოკლედ თუ დაწვრილებით)		

დავალება 3

არგონავტების მითში აღწერილი ამბების დიდი ნაწილი ფანტაზიის ნაყოფია, მაგრამ ისტორიკოსებისთვის ის მაინც ღირებული წყაროა. ახსენით, რას გვიამბობს ეს მითი კოლხეთისა და ბერძნული სამყაროს რეალურ ურთიერთობებზე – რომელი საზღვაო გზით მოდიოდნენ ბერძნები კოლხეთში და რა სიმდიდრესა და ბუნებრივ რესურსებს ეძებდნენ ისინი დასავლეთ საქართველოში. გაითვალისწინეთ, რომ 1984 წელს მკვლევარმა ტიმ სევერინმა ხომალდი „არგო“ აღადგინა და არგონავტების გზით საქართველოში მოვიდა.

არგონავტების ლაშქრობა ძველ კოლხეთში



დავალება

1. შეაფერადეთ წითლად ბერძენთა განსახლების არეალის აღმნიშვნელი წყვეტილი ხაზები.
2. დააწერეთ ზღვებს თანადროული სახელები.
3. შეაფერადეთ წითლად არგონავტების მოგზაურობის ამსახველი ისრები.
4. დააწერეთ სახელები საბერძნეთს და კოლხეთს.
5. დააწერეთ სახელები ქალაქებს, რომლებიც არგონავტებმა გაიარეს.
6. დააწერეთ მდინარეებს ფაზისს და მტკვარს.

17. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები

! დავალება 1

დიაოხის სამეფოს სხვადასხვა ხალხი სხვადასხვა სახელით მოიხსენიებდა. ტექსტის მიხედვით შეავსეთ ცხრილი – ჩაწერეთ, რომელი სახელი შეესაბამებოდა თითოეულ მათგანს:

ვინ იყენებდა სახელს	**ქვეყნის სახელი**
ურარტული წყაროები	
ასურული წყაროები	
ძველი ბერძნები	
ადგილობრივი მოსახლეობა	

ახლა თქვენ თვითონ: დაასახელეთ თანამედროვე ქვეყანა, რომელსაც ქართულად ერთ სახელს ვუწოდებთ, სხვა ენებზე კი – სხვას.

_____

! დავალება 2

„დაკარგული ქალაქის“ აღმოჩენა! 2014 წელს არქეოლოგებმა კახეთში, ივრის ზეგანზე, უძველესი ქალაქი, დიდნაური, აღმოაჩინეს. ტექსტიდან ამოკრიბეთ მონაცემები და შეავსეთ ქალაქის „პასპორტი“:

რომელ ხანას განეკუთვნება ქალაქი	
გალავნის სიგრძე	
გალავნის სიმაღლე და სიგანე	
ციტადელის ზომა (სიგრძე × სიგანე)	
ქალაქის ცენტრის საერთო ფართობი	

! დავალება 3

წაიკითხეთ ასურეთის მეფის, ტიგლათფილესერ I-ის, წარწერის ფრაგმენტი (ძვ. წ. 1112 წ.), რომელშიც ის დიაოხზე გამარჯვებას აღწერს (მოსწავლის წიგნი, გვ. 87):

აღწერეთ როგორი ურთიერთობა ჰქონდა ასურეთის მეფეს დიაოხის (დაიაენის) ქვეყნის მეფესთან და როგორ შეიცვალა ეს ურთიერთობა ომის შემდეგ?

_____

_____

_____

_____

ქართველური ტომები და გარესამყარო ძვ.წ. II – I ათასწლეულებში



დავალება

1. დაიტანეთ რუკაზე პირველი ქართული სახელმწიფოები დიაოხი და კოლხა;
2. აღნიშნეთ რუკაზე სახელმწიფოები, რომლებიც დიაოხსა და კოლხას ეომებოდნენ; დაიტანეთ მათი თავდასხმების სავარაუდო მარშრუტები.
3. დაშტრიხეთ განსხვავებული ფერებით ჩრდილოეთ კავკასიის მხრიდან შემოჭრილი კიმერიელებისა და სკვითების მარშრუტები.

18. აქემენიანთა ირანი, ძველი ბერძნული კოლონიზაცია და საქართველო

დავალება 1

შეავსეთ სქემა – სახელმძღვანელოს ტექსტის მიხედვით შესაბამის გრაფებში ჩაწერეთ, რა შემოჰქონდათ საბერძნეთიდან კოლხეთში და რა გაჰქონდათ კოლხეთიდან საბერძნეთში:

საბერძნეთში	საბერძნეთიდან კოლხეთში შემოჰქონდათ: → → კოლხეთიდან საბერძნეთში გაჰქონდათ:	კოლხეთში

ბერძნებთან ვაჭრობის ხანაში კოლხეთში მოიჭრა პირველი ქართული ვერცხლის მონეტა. რას უწოდებენ მას დღევანდელი მეცნიერები?

_____

დავალება 2

წაიკითხეთ ბერძენი ისტორიკოსის, ჰეროდოტეს (ძვ. წ. V ს.), ცნობა კოლხებისა და აქემენიანთა ირანის მეფის (შაჰის) ურთიერთობის შესახებ (მოსწავლის წიგნი, გვ. 92) და უპასუხეთ კითხვებს:

ა) რას იხდიდა კოლხეთი ირანის მეფის სასარგებლოდ და რამდენ ხანში ერთხელ?	
ბ) რა მიზეზების გამო არ გაუწია წინააღმდეგობა კოლხეთის ხელისუფლებამ აქემენიანებს?	
გ) რას გვიჩვენებს ეს ფაქტი კოლხასა და ირანის ძალთა თანაფარდობაზე (რომელი იყო უფრო ძლიერი)?	

დავალება 3

დაწერეთ, რამდენად განსხვავდებოდა კოლხეთის ურთიერთობა ბერძნებთან და ირანთან? საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბებაში შეიძლება დაგეხმაროს შემდეგი მინიშნება: ბერძნებთან – ნებაყოფლობითი ვაჭრობა, რომელიც ორივე მხარეს აძლევდა სარგებელს; ირანთან – იძულებითი ხარკის გადახდა.


_____

_____

_____

_____

ბერძნული კოლონიზაცია შავიზღვისპირეთში ძვ.წ. VIII – VI სს.



დავალება

1. წითელი ფერით გაავლეთ ბერძენთა განსახლების არეალი.
2. დააწერეთ სახელები ზღვებს და მდინარეებს.
3. დააწერეთ სახელები კოლხეთის სანაპიროზე დაარსებულ ბერძნულ კოლონიებს; განსხვავებული ფერით აღნიშნეთ ამ ქალაქების მეტროპოლია.
4. გააფერადეთ წითლად ბერძენთა კოლონიზაციის მიმართულების აღმნიშვნელი ისრები.

19. მშენებლობა ძველ საქართველოში

! დავალება 1

შეავსეთ ცხრილი სამი მთავარი სამშენებლო მასალის შესახებ. სახელმძღვანელოს ტექსტის მიხედვით ჩაწერეთ, როგორ ამზადებდნენ ან საიდან იღებდნენ თითოეულს და სად ან რისთვის იყენებდნენ:

მასალა	როგორ ამზადებდნენ / საიდან იღებდნენ	სად ან რისთვის იყენებდნენ
ალიზი		
ქვა		
ხე		

! დავალება 2

დააკავშირეთ ძველი ქართული დასახლება მის მთავარ დამახასიათებელ ნიშანთან. ცხრილის ბოლოს თითოეულ ციფრს მიუწერეთ შესაბამისი ასო:

დასახლება	დამახასიათებელი ნიშანი
1. სარკინე	ა) კლდეში ნაკვეთი უძველესი ციხე-ქალაქი
2. უფლისციხე	ბ) პირველი ერთიანი ქართული სახელმწიფოს დედაქალაქი
3. მცხეთა	გ) რკინის წარმოების ცენტრი
პასუხები: 1 – ––– 2 – ––– 3 – –––	

კითხვა: რატომ შენდებოდა ძველი ქალაქები, ძირითადად, მდინარის პირას? დაასახელეთ რამდენიმე მიზეზი.

_____

_____

_____

! დავალება 3

წარმოიდგინეთ, რომ ძველ დროში ცხოვრობთ და სახლს აშენებთ. აირჩიეთ ერთი კუთხე – მთიანი საქართველო ან დასავლეთი საქართველო და დაწერეთ: რომელ მასალას აირჩევდით სახლის ასაშენებლად და რატომ? დავალების შესრულებაში დაგეხმარებათ მინიშნება: მთაში უხვად არის ქვა; დასავლეთ საქართველოში – ტყე, ხოლო ჰავა ნოტიოა.

_____

_____

_____

! დავალება 4


წაიკითხეთ რომაელი არქიტექტორის, ვიტრუვიუსის (ძვ.წ. I ს.), აღწერა კოლხური სახლის შესახებ (მოსწავლის წიგნი, გვ. 96) და უპასუხეთ კითხვებს:

ა) რისგან აშენებდნენ კოლხები სახლს და რატომ იყენებდნენ სწორედ ამ სამშენებლო მასალას?	
ბ) ვიტრუვიუსი კოლხურ სახლს „ბარბაროსებისთვის ჩვეულებრივ“ ნაგებობას უწოდებს. როგორ ფიქრობთ, ეს მხოლოდ კოლხებს ეხება თუ რომაელების დამოკიდებულებასაც სხვა ხალხების მიმართ?	
გ) რას ვიგებთ ვიტრუვიუსის აღწერიდან კოლხების ცხოვრებისა და ხელოსნობის შესახებ?	

V თავის შეჯამება – შეამოწმე შენი ცოდნა!

! შეჯამება

შეავსეთ კროსვორდი და გაიხსენეთ შესწავლილი მასალის ძირითადი საკითხები:




1. სამხრეთ საქართველოში არსებულ გაერთიანებას ასურული წყაროები მოიხსენიებენ როგორც ... ;
2. ურარტუს ამ მეფემ ილდამუშაში თავისი გამარჯვების აღსანიშნავად რკინის ბეჭედი გააკეთებინა;
3. ბერძნებმა დღევანდელი ოჩამჩირეს ტერიტორიაზე ახალშენი შექმნეს, რომელსაც ერქვა ... ;
4. ეს ბერძენი ჭაბუკი კოლხას მეფის ქალიშვილს შეუყვარდა;
5. უძველესი ნაქალაქარი ივრის ზეგანზე კახეთში;
6. მზეზე გამომშრალ თიხის აგურს ეწოდება ... ;
7. ეს რომაელი მწერალი და არქიტექტორი კოლხთა საცხოვრებელ სახლებს აღწერს;
8. კოლხთა ეს ლეგენდარული მეფე ოქროს საწმისს ფლობდა;
9. მეფის ქალიშვილი, რომელიც არგონავტებს დაეხმარა;
10. ძვ. წ. VIII საუკუნეში ჩრდილოეთიდან შემოჭრილი ტომის სახელი;
11. ეს სოხუმის ძველი ბერძნული სახელია.

20. ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის დაშლა და დიადოხოსები

! დავალება 1

შეავსეთ სქემა – ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის ადგილზე სამი ელინისტური სახელმწიფო წარმოიქმნა. შესაბამის უჯრაში ჩაწერეთ, რომელი სარდალი (დიადოხოსი) ჩაუდგა თითოეულს სათავეში:



რა აქვთ სამივე სახელმწიფოს საერთო? (მინიშნება: ვინ იყვნენ მათი დამაარსებლები?)

_____

! დავალება 2

წაიკითხეთ ბერძენი ისტორიკოსის, პლუტარქეს (ახ. წ. I-II სს.) ცნობა ალექსანდრე მაკედონელის ბოლო დღეების შესახებ (მოსწავლის წიგნი, გვ. 101) და უპასუხეთ კითხვებს:

ა) რა მდგომარეობაშია ალექსანდრე ამ ფრაგმენტში? აღწერეთ თქვენი სიტყვებით, რა ხდება.	
ბ) რა მოხდა ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ, რამაც ხელი შეუწყო ახალი სახელმწიფოების წარმოქმნას	
გ) ვინ იყვნენ ის ადამიანები, ვინც ალექსანდრეს გარშემო იმყოფებოდნენ მისი გარდაცვალების დროს?	

! დავალება 3

დაფიქრდით და დაწერეთ: ალექსანდრეს იმპერიის დაშლის შემდეგ დიდი სახელმწიფოები ერთმანეთს ებრძოდნენ და ვეღარ აკონტროლებდნენ ყველა მიწას. სწორედ ამ დროს ჩამოყალიბდა ქართლის (იბერიის) სამეფო. თქვენი აზრით, რატომ იყო მეზობელი იმპერიების დასუსტება ხელსაყრელი ახალი ქართული სამეფოს შესაქმნელად?


_____

_____

_____

_____

ელინისტური სახელმწიფოების წარმოშობა ძვ.წ. IV–III სს. მიჯნაზე



დავალება

1. წითელი ფანქრთ გაავლეთ ალექსანდრე მაკედონელის ძველი იმპერიის საზღვარი.
2. დააწერეთ სახელები ზღვებს და მდინარეებს.
3. შავი ფანქრით გაავლეთ ელინისტური სახელმწიფოების საზღვრები.
4. დააწერეთ სახელები ქალაქებს.
5. გააფერადეთ ოთხივე ელინისტური სახელმწიფო და დააწერეთ სახელები.

21. ფარნავაზი და აზო

! დავალება 1

ძვ. წ. IV საუკუნის ბოლოს აღმოსავლეთ საქართველოს დასაუფლებლად აზო და ფარნავაზი დაუპირისპირდა ერთმანეთს. ტექსტის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

	აზო	ფარნავაზი
რომელ გაერთიანებას ედგა სათავეში?		
წარმომავლობა, ანუ საიდან იყო?		
რომელი უცხო სახელმწიფო ეხმარებოდა?		

! დავალება 2

ფაქტი თუ ლეგენდა? ქვემოთ მოცემულია ფარნავაზის ამბიდან აღებული მოვლენები. თითოეული ჩაწერეთ შესაბამის სვეტში – ისტორიულ რეალობას ეფუძნება თუ ლეგენდარულ (გამონაგონ) ხასიათს ატარებს:

ფარნავაზი მცხეთის მმართველთა ოჯახის წარმომადგენელი იყო · სიზმარში მზის სხივი ფარნავაზს წელზე შემოეხვია და სარკმლიდან გაიყვანა · აზოს პონტოს სამეფო ეხმარებოდა, ფარნავაზს კი – სელევკიდების სირიის სამეფო · ფარნავაზი მზეს შეეხო და მისი ცვარი სახეზე იცხო · ფარნავაზი მამაცი და გამოცდილი მონადირე იყო · დაჭრილი ირმის კვალდაკვალ ფარნავაზმა გამოქვაბულში განძი იპოვა

ისტორიული რეალობა	ლეგენდა (გამონაგონი)

! დავალება 3

ქართლის პირველი მეფის შესახებ ორი ძველი ქართული წყარო მოგვითხრობს. წაიკითხეთ ორივე ნაწყვეტი (მოსწავლის წიგნი, გვ. 107) და უპასუხეთ კითხვებს:

ა) რას გვეუბნება პირველი წყარო აზოს შესახებ (საიდან მოვიდა, რა ჩამოიტანა)?	
ბ) როგორ ახასიათებს მეორე წყარო ფარნავაზს? დაასახელეთ მისი ორი თვისება.	
გ) ორივე წყარო ერთ პერიოდზე მოგვითხრობს, მაგრამ სხვადასხვა გმირზე ამახვილებს ყურადღებას. როგორ ფიქრობთ, რატომ შეიძლება ერთი და იგივე ამბავი სხვადასხვანაირად იყოს მოთხრობილი?	

22. ქართლის სამეფოს შექმნა

! დავალება 1

ფარნავაზმა ქვეყანა მარტო ვერ გაათავისუფლა – მას მოკავშირეები დაეხმარნენ. სახელმძღვანელოს ტექსტის მიხედვით შეავსეთ ცხრილი – ჩაწერეთ, როგორ დაეხმარა ფარნავაზს თითოეული მათგანი:

მოკავშირე	როგორ დაეხმარა ფარნავაზს
ქუჯი (ეგრისისა და სვანეთის მმართველი)	
ოვსები და ლეკები	
სომეხი დიდგვაროვნები	
აზოს ჯარიდან გადმოსული მხედრები	

! დავალება 2

გამარჯვების შემდეგ ფარნავაზმა მოკავშირეებთან ურთიერთობა დინასტიური ქორწინებებით გაამყარა. შეავსეთ სქემა – ჩაწერეთ, ვის მიათხოვა თავისი დები და საიდან მოიყვანა ცოლი:

ფარნავაზი – ერთიანი ქართული სამეფოს პირველი მეფე

ერთი და მიათხოვა:	მეორე და მიათხოვა:	თავად ცოლად მოიყვანა:
(მისცა ეგრისი და სვანეთი)	(ჩრდილო კავკასიელი მოკავშირე მეფე)	(ჩრდილო კავკასიელი ხალხი)

! დავალება 3

იმუშავეთ წყაროზე (მოსწავლის წიგნი, გვ. 108-109). წაიკითხეთ „ქართლის ცხოვრებიდან“ აღებული ქუჯის სიტყვები, რომლითაც მან ფარნავაზს მიმართა, და უპასუხეთ კითხვებს:

ა) რას სთავაზობს ქუჯი ფარნავაზს? ვინ იქნება „უფალი“ (ბატონი), თუ ისინი გაიმარჯვებენ?	
ბ) „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, რამდენად დიდი როლი აქვს ქუჯის ფარნავაზის გამარჯვებაში. აღწერეთ, მისი როლი.	
გ) რა საერთო ინტერესი ჰქონდათ ქუჯის და ფარნავაზს?	

23. ფარნავაზის მიერ ქართლის სახელმწიფოებრივი მოწყობა

! დავალება 1

ვინ ვის ემორჩილებოდა? გაეცანით ქართლის მმართველობის იერარქიას ფარნავაზის დროს, შემდეგ კი უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ კითხვებს:

მეფე (ფარნავაზი)
ქვეყნის უზენაესი მმართველი

↓

სპასპეტი
მეფის შემდეგ მეორე პირი; განაგებდა შიდა ქართლს

↓

ერისთავები (8 საერისთავო)
მეფის მოხელეები საერისთავოებში

↓

სპასალარები და ათასისთავები
სამხედრო და ადმინისტრაციული მოხელეები

ა) ვინ იყო მეფის შემდეგ ყველაზე მაღალი თანამდებობის პირი? ——————————

ბ) რით გამოირჩეოდა თქვენ მიერ დაწერილი თანამდებობა სხვა ერისთავებისგან? ——————————

გ) რატომ ითვლებოდა სპასპეტი მეფის შემდეგ პირველ პირად სამეფოში? (დააკვირდით მის სამხედრო და ტერიტორიულ ძალაუფლებას). ——————————

დ) რას აკეთებდნენ ერისთავები? სახელმძღვანელოს ტექსტის მიხედვით, მიუთითეთ მათი ორი მოვალეობა:

1. ——————————

2. ——————————

! დავალება 2

ტერიტორიის გაერთიანების გარდა, ფარნავაზმა სახელმწიფო ენად ქართული გამოაცხადა. წაიკითხეთ „ქართლის ცხოვრებიდან“ აღებული ცნობა (მოსწავლის წიგნი, გვ. 115) და უპასუხეთ კითხვებს:

ა) რა გააკეთა ფარნავაზმა ქართული ენისთვის?	
ბ) ფარნავაზის ბრძანებით, შეიქმნა მწიგნობრობაი ქართული, ანუ ქართული დამწერლობა. დაწერეთ მისი მნიშვნელობის შესახებ?	


! დავალება 3

ფარნავაზმა ქვეყანა გააერთიანა და არმაზი გამოაცხადა მთავარ და საერთო ღვთაებად მთელი ქართლისთვის. დაწერეთ: თქვენი აზრით, რატომ სჭირდებოდა ახლად შექმნილ ერთიან სახელმწიფოს საერთო ღვთაება?

_____

_____

მეფე ფარნავაზის ადმინისტრაციული რეფორმა




დავალება

1. წითელი ფანქრით გაავლეთ საქართველოს სახელმწიფო საზღვარი.
2. წითელი ფანქრით გაავლეთ საერისთავოების საზღვრები.
3. მიუწერეთ სახელი დედაქალაქს.
4. წითლად გააფერადეთ მეფე ფარნავაზის მიერ დაარსებული რვა საერისთავოს ცენტრი და მიუწერეთ სახელები.
5. ჩაწერეთ რუკაში საერისთავოების სახელები.
6. დააწერეთ სახელები მდინარეებს.
7. ჩაწერეთ მეზობელი ხალხებისა და ქვეყნების სახელები.
8. შეაფერადეთ საერისთავოების ტერიტორია ფერადი რუკის მიხედვით.
9. დააწერეთ შავ ზღვას და გააფერადეთ ცისფრად.

24. რა ვიცით ქართლის სამეფოს შესახებ

! დავალება 1

მცხეთა მნიშვნელოვანი გზების თავშესაყარი იყო. ტექსტის მიხედვით, ჩაწერეთ ცხრილის შესაბამის გრაფებში, საიდან მოემართებოდა მცხეთისკენ ოთხი გზა:



მცხეთაზე გადიოდა საერთაშორისო სავაჭრო გზა, რომელიც აღმოსავლეთსა და დასავლეთს აკავშირებდა. რა ერქვა მას? _____

! დავალება 2


წაიკითხეთ ბერძენი გეოგრაფის, სტრაბონის, ცნობა ქართლის (იბერიის) საზოგადოების შესახებ (მოსწავლის წიგნი, გვ. 119) და უპასუხეთ კითხვებს:

ა) რატომ არის სტრაბონის ცნობა მნიშვნელოვანი წყარო ქართლის სამეფოს ისტორიის შესასწავლად? დაასახელეთ ორი არგუმენტი.	
ბ) შეადარეთ, სტრაბონის მიერ დასახელებული მესამე გვარი იგივე „თავისუფალი მეთემეები“ (ერი) და სტრაბონისეული მეოთხე გვარი, ანუ „სამეფო მონები“ (ლაოები): დაასახელეთ ერთი განსხვავება მათ საქმიანობასა ან მდგომარეობაში.	

! დავალება 3

სტრაბონის ცნობით, ქართლის საზოგადოება ოთხი „გვარისგან“ (სოციალური ფენისგან) შედგებოდა. ქვემოთ მოცემული სიტყვების დახმარებით შეავსეთ პირამიდა – ზემოდან ქვემოთ, ყველაზე მაღალი მდგომარეობის მქონედან ყველაზე დაბალ მდგომარეობამდე:

ქურუმები · სამეფო გვარი (მეფეები, მოსამართლეები, მხედართმთავრები) · სამეფო მონები („ლაოები“) · მეომრები და მიწათმოქმედები (თავისუფალი მეთემეები, „ერი“)



25. ქართლის სამეფო ფარნავაზ მეფის მემკვიდრეების დროს

! დავალება 1

გაანაწილეთ ქვემოთ დასახელებული ფარნავაზიან მეფეთა ქართლის სამეფოში შემავალი მხარეები შესაბამის ველში.

შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, კახეთი, სამცხე, ჯავახეთი, კოლა, არტაანი, კლარჯეთი, არგვეთი, ეგრისი, სვანეთი, აჭარა, ჰერეთი, კამბეჩოვანი, მთიანეთი

დასავლეთი საქართველო	აღმოსავლეთი საქართველო
ჩრდილოეთი საქართველო	სამხრეთი საქართველო

! დავალება 2

რა ურთიერთობა ჰქონდათ მეზობელ სახელმწიფოებს ქართლის სამეფოსთან? ცხრილის ბოლოს ციფრს მიუწერეთ შესაბამისი ასო:


მეზობელი	**ურთიერთობა ქართლთან**
1. სელევკიდების სამეფო	ა) ეხმარებოდნენ ქართლის მეფეებს მტრის შემოსევებისას.
2. სომხური სამეფოები (დიდი და მცირე არმენია)	ბ) მეგობრული, მოკავშირეობრივი ურთიერთობა ჰქონდა ქართლთან.
3. ჩრდილო კავკასიელები (ოვსები, ლეკები)	გ) ქართლის სამეფოს ზოგიერთი ტერიტორია დაისაკუთრეს.
პასუხები: 1 – ––– 2 – ––– 3 – –––	

! დავალება 3

წაიკითხეთ „ქართლის ცხოვრებიდან“ აღებული ორი ცნობა ფარნავაზის მემკვიდრეების საქმიანობის შესახებ (მოსწავლის წიგნი, გვ. 123) და უპასუხეთ კითხვებს:

ა) რა გააკეთა მეფე საურმაგმა?	
ბ) რა ააშენა მეფე ფარნაჯომმა?	

ქალაქები და გზები ელინისტური ხანის ქართლის სამეფოში



დავალება

1. წითელი ფაქნქრით გაავლეთ საქართველოს სახელმწიფო საზღვარი.
2. მიუწერეთ სახელი დედაქალაქს.
3. გააფერადეთ წითლად საქართველოზე გამავალი სავაჭრო გზები.
4. მიუწერეთ სახელები იმ ქალაქებს, სადაც სავაჭრო გზა გადიოდა.
5. დააწერეთ სახელები მეზობელ ხალხებს და სახელმწიფოებს.
6. დააწერეთ სახელები მდინარეებს.
7. დააწერეთ თანადროული სახელი ზღვას და გააფერადეთ ცისფრად.
8. გააფერადეთ ვარდისფრად საქართველოს ტერიტორია.

! დავალება 4


ქართული წყაროების მიხედვით, ქართლის მეფეებმა რამდენიმე კერპი აღმართეს დედაქალაქ მცხეთაში და მის ირგვლივ. ქართლის მეფეთა ქვემოთ მოცემულ ჩამონათვალს გვერდით მიუწერეთ, თუ რომელი კერპის აღმართვა უკავშირდება მათ სახელს, ეს კერპებია: აინინა, დანანა, ზადენი, არმაზი, გაცი, გაიმი

აზო	
ფარნავაზი	
საურმაგი	
ფარნაჯომი	

VI თავის შეჯამება – შეამოწმე შენი ცოდნა!

! შეჯამება

შეავსე კროსვორდი და გაიხსენე შესწავლილი მასალის ძირითადი საკითხები:



1. კლდეში ნაკვეთი ეს ქალაქი ფარნავაზის დროს ვაჭრობისა და ხელოსნობის ერთ-ერთი ცენტრი იყო;
2. ფარნავაზმა ის ქვეყნის მთავარ ღვთაებად დაადგინა;
3. პონტოს სამეფოს დამაარსებელია ... ;
4. ფარნავაზმა ის დასავლეთ საქართველოში შორაპნის ციხესთან ერთად ეს ციხე ააგო;
5. ქართლის სამეფოს კუთხე, სადაც აზო გაიქცა ფარნავაზის აჯანყების შემდეგ;
6. ფარნავაზის მოკავშირე ანტიოქოს I-ის მამა;
7. აზოს მოტანილი კერპი ქართლში;
8. არიან ქართლის მეფის შვილი, რომელიც ფარნავაზს შეებრძოლა;
9. ქართლის გაერთიანებისათვის ბრძოლაში ფარნავაზის მოკავშირე ეგრისის მმართველის სახელი.

საქართველოს ძალიან მდიდარი და ხანგრძლივი წარსული აქვს. ჩვენი სამშობლოს კულტურული, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისტორია ათასწლეულებს ითვლის. ადრეულ ხანაში, ძვ. წ. III-I ათასწლეულებში, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქელოგიური მონაპოვარი ამისი საუკეთესო დასტურია.

კახეთში, ალაზნის ველზე, წნორის სიახლოვეს, ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დროს ყორღანულ სამარხში ოქროს ღომის ფიგურა აღმოჩნდა. ოქრომჭედლობის უაღრესად დახვეწილი ტექნოლოგიით შესრულებული ხელოვნების ეს ნიმუში სპეციალისტების მიერ ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით დათარიღდა. აღნიშნული ძეგლი მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების არეალში მცხოვრები ხალხისა და მათი მემკვიდრეების სოციალურ-ეკონომიკური დაწინაურების ნათელი დადასტურებაა. შუა ბრინჯაოს ხანის თრიალეთის ყორღანში აღმოჩენილი ძვირფასი ქვებით შემკული ოქროს თასი კი ძვ. წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარშია დამზადებული. იგი საიუველირო ხელოვნების ნამდვილი ნიმუშია და საქართველოში ოქრომჭედლობის კიდევ უფრო მაღალი საფეხურის მაჩვენებელია. მომდევნო ათასწლეულშიც კულტურული აღმავლობის ეს უწყვეტი ტრადიცია გრძელდებოდა.

არქეოლოგიური აღმოჩენები თვალნათლივ მიუთითებს, რომ ჩვენი სამშობლო, უძველესი პერიოდიდან მოყოლებული, კულტურული თვალსაზრისით, ერთ-ერთი ყველაზე დაწინაურებული ქვეყანაა მთელ მსოფლიოში.

9 789941 889295

26.10.7.2.1